

1812

რუსეთის სამამულის მემკლეობა რუსი

ჰერცეგ ბავრატიონი და სელიმ ფაშა სიმძიაშვილი



პეტრე ივანესძე ბაგრათიშვილი

თბილისი

ელექტრო-მეცნიერებელი „სორაპანი“, მაღათოვის კუნძული
1912



ՀԱՅԵԱՏՈՒՆ ԱԱՀԱՅՈՐԱՅՈՒԹՅԱՆ ՊԱՆ

1812 թ.,

Ֆերդինանտիոս

Տաղավար կամաց պահանջանակությունուն
Տաղավար կամաց պահանջանակությունուն

Գ. Քաջազնուն



ԺԱՌՈՒՆՈՒՆ

ԱՐԵՎԵՐԴ-ԹԵՐԱՎՈՐ ԿԱՐԱՅԱԿ, ԶԱՐԱՏՈՒՑԻ ԿՐՈՆԱԿ
1912

ჭერიე ივანესებე ბაკრატიონი და სელიმ ფაშა ხიმშიაძეილი.

იმშერაცონ ნაშოლეონის გაფაშქება რუსეთზედ. — სოლომონ იმერთა მეფის ცდა თსმალეთში. — თსმალთა იმედი საქართველოდან რუსეთის გაძეგების და თვის მოხარკეთ გახდენის.

ისტორიით ვიცით, რომ 1810 წ., როცა რუსეთის შედრობამ იმერეთში ფეხი შედგა; მაშინ იმერეთის შეერთების შესახებ აღძრულ იქმნა კითხვები იმ ტრაკტატის მუხლების ძალით რაც მეფე ერეკლემ და სოლომონ იმერეთის მეფემ დაუდო იმპერატრიცა ეკატერინას 1782 წ. რაცი ზურაბ წერეთლის საშუალებით საქე სხვა გვარ მიღიოდა, მაშინ პატრი ნიკოლას რჩევით მეფე სოლომონმა ორი დეპუტატი გაგზავნა საზღვარ გარეთ, ერთი დეპუტატია ისმალეთს სულთანს გაუგზავნა, რომელშიაც იყვნენ სხვათა შორის: თავადი სიმონ აგიაშვილი, ქაიხოსრო წერეთელი და სამიც სხვა თავად-აზნაურნი. იმპერატორ ნაპოლეონთან გაგზავნილ იქმნენ პატრი ნიკოლა, როსტომ ნიუარაძე და სამიც სხვა თავად-აზნაურნი.

თხოვნები პატრმა ნიკოლამ დასწერა ფრანგულ ენაზედ, შეფეხმ ხელი მოაწერა, თხოვნით ნაპოლეონ იმპერატორს ატყობინებდნენ და სთხოვდნენ, რომ საქართველოს რუსეთის მთავრობა ევროპის სახელმწიფოთა დაუკირხავად იერთებს, ამიტომ ვითხოვთ დახმარების აღმოჩენას, რათა იმერეთის სამეფოც დაკავშირებულ იქმნეს იმ პირობის ძალით, როგორც იმპერატრიცა ეკატერინას დროს იქმნა შედგენილი და მიღებული ორსავ მხარესაო. მანამ ევროპიდან რამე დასახმარი ცნობა მოვიდოდა, მანამდის იმერეთი უკვე შეერთებულ იქმნა რუსეთის იმპერიის საქართველოსთან. ეს გარე-

შოება უომრად და უდავიდარაბოდ მიტომ მოხდა, რაღანაც იმერეთის ერს სურვილი ჰქონდა რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების. ამიტომ მეფის ცდა უნაყოფო იყო. ქრისტიან იმერეთის ერის სული ქრისტიან სამეფო რუსეთისაკენ მიმწეოდა და ამიტომ გონიერი მეფეც ერთის მხრით სტუცდებოდა იმ მოსაზრებაში, რომ ვითომც იგი თავის მომხრეებით რუსეთის წინააღმდეგ რამეს გააწყობდა. ეს არ მოხდებოდა, რაღანაც ქართველი გლეხები ლოცულობდენ საქართველოში რუსების შემოსვლას, მუსულმანთაგან დატანჯულნი და მობეზრებულნი ქრისტიანობის გამო დღითი-დღე ელოდნენ რუსეთის იმპერიის ძალის დამყარებას და მათისავე დახმარებით დანაწილებულ საქართველოს სამთავროების გაერთიანებას.

ამ აზრის იყო ხალხის უმრავლესობა, ამავე აზრს უაღრესად აფართოვებდა და აზვირთებდა ის გარემოებაც, რომ მთელ საქართველოში დიდი ანარქია იყო გამართული, აქ ხდებოდა ისეთი საქმენი რომ მასზედ უბოროტესი სხვა აღარა შეიძლებოდარა, ყოველივე ამის მოსასპობად და მშვიდობიანი წესების დასამყარებლად იყო საჭირო ძლიერი საქრისტიანო სახელმწიფოს ძალა, მისი კანონები, სამართალი და სხვანი, რის მსგავსათაც აღმოჩნდა მაშინ ქართველთა წინაშე რუსეთის იმპერია, ეს ცხადი ისტორიული ფაქტია, ამიტომ ოსმალ-სპარსთა მეცადინეობა ამაოდ შთებოდა რუსთა საწინააღმდეგოდ, იგინი ვერაფერს გააწყობდნენ, ქართველი გლეხობა მათ სულ არ მიემხრბოდა. ესენი იმ აზრის იყვნენ, რომ ოსმალ-სპარსთ ჩვენი სიკეთე რომ სდომოდათ, მაშინ საქართველოს არც ასე დააქუცმაცებდნენ, არც ჩვენ ასე დაგვტანჯავდენო. ჩვენ რუსნი გვირჩევნია, რაღანაც ისინი ქრისტიანები არიან და ოსმალ-სპარსებზედ გაცილებითაც მაღლა მდგარნ კანონებით და სამართლითო უმთავრესად კი საქრისტიანო სამეფო არისო.

ამას მე პირნათლათ ვაღირებ, ასეთი მოსაზრება იხატებო-

და იმ დროის ქართველ გლეხთა გულსა და სულში, დაქუც-
მაცებული საქართველოს სამეფოს წესების დაკავშირება რუ-
სეთის იმპერიასთან მათ მიაჩნდათ ქართველ გლეხთა განსა-
თავისუფლებლათ, რადგანაც აქ იგინი სასტიკათ იდევნებო-
დენ მებატონეთაგან და გარდა ამისა ხშირად ცხვრის ფარა-
სავით ოსმალ-სპარსეთშიც რეკავდენ და იქ მუსულმანებზედ
ჰყიდდენ მათ, სადაც ბოლოს ისლამთან დაკავშირებაც უხ-
დებოდათ და რაც მათ სჯულიდან სჯულზედ გადასვლა; გა-
მოცვლა დიდათ ემძიმებოდათ.

ქართველ გლეხთა ვითარება რომ ასეთი იყო, ამის შე-
სახებ ხშირათ ულაპარაკნია ჩვენში კარგათ ცნობილ პოეტს
გენერალ ლეიტენანტს გრიგოლ ორბელიანს, პოეტს გენე-
რალ ვახტანგ ორბელიანს, ისტორიკოსს გენერალ პლატონ
იოსელიანს, გენერალ ლეიტენანტს ლევან მელიქიშვილს,
ატამან გენერალ ლეიტენანტს გიორგი ერისთავს და ბევრს
კიდევ სხვა ასეთებს, ჩვენ აქ ყველას სახელებს ვერ მო-
ვთვლით. გრიგოლ ორბელიანი იტყოდა ხოლმე, რომ რუ-
სების მოსვლისათვის ქართველი გლეხები ყოველთვის ლო-
ცულობდნენ და ღმერთს სთხოვდენ, რომ მათ დროით შე-
მოედგათ საქართველოში ფეხით. ეს გარემოება ჩვენ აქ
გაკვრით მოვიყვანეთ იმ გარემოების ასახსნელათ, რომ მეფე
სოლომონი ამაოდ დაშვრა თავის ცდაში, რადგანაც მის
მომხრეთა შორის მხოლოდ თავად-აზნაურები ირიცხებოდნენ,
ესეც ყველა არა, უმეტესი მონატრე იყო რუსეთის იმპე-
რიასთან დაკავშირების. ეს ხომ თავად-აზნაურობაშ შემდეგ
დაუმტკიცა რუსეთის მთავრობას, რადგანაც ამათ წოდები-
დან მთელი რიგი გამოვიდა რუსეთის საომარ ასპარეზედ
ისეთის გმირების, რომელთაც რუსის მხედრობასთან ერთად
იბრძოლეს და დადგარეს სისხლი.

ჩვენ მაინც ამ გარემოების განზილვას არ შეუდგებით,
ჩვენი საგანი მხოლოდ გარემოებას ეხება და ისევ იმპერა-
ტორ ნაპოლეონის საქმეს ავნუსხავთ და ქართველ მაპა-

დიანთ ვითარებას. ავათ თუ კარგად, მეცნიერულად, თუ უმეცრულად, ევროპიულის კილოთი, თუ აზიურის მიმართვით ყოველს შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ იმპერატორნაპოლეონმა რუსთავან საქართველოს დაკავშირების ამბავი 1810 წელს უკვე კარგად შეიტყო, იგი მისთვის მრავალნაირად იქმნა ცნობილი. საქმის დაწვრილებით გაცნობაში რასაკვირველია ოსმალოს მთავრობაც იღებდა მონაწილეობას.

ცხადათ ვიტით, რომ იმპერატორ ნაპოლეონმა როცა განიზრახა რუსეთზე გალაშქრება, მაშინ მან საქართველოს ამშებიც კარგად იცოდა, ადვილი შესაძლებელია ისიც, რომ იგი ოსმალეთის საშუალებით ქართველების შესახებ სტყუვდებოდა, რადგანაც სოლომონ მეფე ტრაპიზონში ცხოვრების დროს, ოსმალეთის მთავრობას სულ მუდარებით ეხვეწებოდა იმერეთის დაბრუნების საქმეს, ამისთვის იგი ოსმალოს მთავრობას ბევრნაირ ყალბ ცნობებსაც ატყობინებდა, ერთი სიტყვით ყოველნაირ საშუალებას ხმარობდა, რომ როგორმე იმერეთი დაებრუნებინა, ოსმალოს მთავრობაც რასაკვირველია დახმარებას პირდებოდა. ოსმალთ ამისთვის დროც იშოვნეს და რაკი იმპერატორის ნაპოლეონის გალაშქრების ამბავაც შეიტყეს, მათ სოლომონ მეფეს იმედი მისცეს, რომ ჩვენ რუსებს ეხლა კი ადვილად გავაძევებთ იმერეთიდანამდა იქ შენ გაგამეთებთო. სოლომონ მეფეც დაიმედებული ბქმნა ამაზედ, ეს თავის იმედების ცნობებს და გარემოებას საფრანგეთის მთავრობასაც ატყობინებდა, შეგრამ გონიერი და აწ დაუძლებული მეფე დიდათ სტყუვდებოდა ამ პოსაზრებაში, ეს რომ ცხადი ისტორიული ჭრუმარიტება არის ჯმას გამოაჩენს ქვემო სტრიქონებიც.

იმპერატორი ნაპოლეონის გალაშქრება რუსეთზედ ქართველებმა წინათვე შეიტყეს, ამის ამბები საქართველოში წინათვე მოვიდა, რომ იმპერატორი ნაპოლეონი რუსეთის დაპყრობას სცდილობს და ამიტომ იქნება ქართველებმაც აღმოაჩინოთ რამე დახმარებაო. ასეთი დავალების მეთაურ

პირებათ ორიცხებოდენ პეტრე ბაგრატოვანი, ცნოიილი გმი-
რი რუსეთის ომის 1812 წ. ამისი სახლი კაცი ფიმიტრი
ბაგრატოვანი. რომელმაც ქეთევან დედოფლის ცხოვრება
ლექსად დასწერა და 1815 წ. ქართულათ პეტერბურგში და-
ბეჭდა, ამათ გარდა გრიგოლ ბაგრატოვანი, ვახტანგ ბატო-
ნიშვილი, რომელიც დაჭრილი იქნა 1812 წ. ომში და
რამდენიმეც სხვა ქართველნი, რომელთაც ხსენებულ ომში
დიდათ ისახელეს თავი. პეტრე ბაგრატოვანი ხომ ქებული
იქნა დიდათ თვით იმპერატორ ნაპოლეონის წინაშე, ეს მო-
იხსენეს ლექსებში ევროპიელთ პოეტებმა პეინემ და ბერნე-
მაც, უსევე პირი ხომ შემდეგ მშვენივრად დასატა რუსეთის
ცნობილმა მწერალმა ლ. ტოლსტოიმ თავის რომან „ვაინა
ი მირ“-ში სხვა ამათ ღირსებას და სამხედრო მოხერხებას
ჩვენ არ ვეხებით, ეს რუსეთის სამხედრო ისტორიის საჭმე
არის.

ჩვენ ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ამ პირთა ცნობე-
ბით და დახმარებით საქართველოდან, ქართველთაგან დროით
იქნენ სხვა და სხვა მეომართ გმირები წასულნი, რომელთაც
მონაწილეობა მიიღეს რუსეთის ბრძოლაში და რომელთაც
იქ ჩინებულათ ისახელეს თავი. მათგანნი საქართველოში
თითქმის აღარაშინ არ დაბრუნებულა, დახოცილებს გარდა
ვინც ცოცხლად დაშთნენ, იგინიც რუსეთში შევიდენ
სამხედრო სამსახურში. მაშინ ქართველი ბატონიშვილები
მფარველობდენ დიდათ. ვიცით ხომ ყველამ, რომ მაშინ
რუსეთში და ნამეტურ პეტერბურგში და მოსკოვს ქართველ
მეფეთა შთამომავალნი მრავლად სცხოვრობდენ, სადაც
კარგი ადგილებიც ეკავათ და კარგი სახელიც ჰქონდათ.
ამათგან ზოგნი მონაწილეობასაც იღებდენ 1812 წ. ბრძო-
ლაში, როგორც გორგი მეფის შეილებიც.

ასეთი იყო ჩაალ ანდრონიკაშვილი, რომელიც ერთ
დროს დიდი მოწინააღმდეგე იყო რუს-ქართველთ შეერთე-
ბის, მერე იღებდა ამ ომში მონაწილეობას, იგი ფინიის

316778
058

ზღვაში დაიხრჩ 1813 წ. იყო კილევ გამრიელ რატიშვილი, ერთგული მსახური ბატონიშვილებისა და მერე მეომარი გარდაიცვალა 1825 წ. ეს პირი ქართულად მწიგნობრობდა ამისი ნაწერი რუსეთში მოგზაურობაც დარჩა, ზოგი რამ აქედან დაიბეჭდა 1863 წ. „საქართველოს მთამბეჭი“. იდებდენ მონაწილეობას გიორგი მეფის შვილები დაითხ, რუსეთის გენერალ-ლეიტენანტი, ვახტანგი, მწიგნობარი მოკვდა 1830 წ. და თემიშვილი, მერე ისტორიკოსი, რომ მელიც საქართველოში სპარსეთიდან მობრრნდა, მერე იგი რუსეთში იქნა წასული და 1811 წ. იმპერატორის ალექსანდრეს წინაშე წამდგარა. იმპერატორმა იგი დიდი პატივით მიიღო. 1812 წ. ომში ამანაც გამოიჩინა კარგი ნიჭი. ჩვენ აქ ყველას არ ვასახელებთ, ნამეტურ არც მამ პირთა, რომელნიც საქართველოდან წავიდნენ, ვიცით კი კარგად, რომ ყველა იგინი იყვნენ გამოჩენილი მხედრებია გამოჩენილი მეომრები, მათ მფარველობდა და წინამძღვრობდენ დიმიტრი ბაგრატიონი, სახლი კაცი გამოჩენილის პეტრე ბაგრატოვანის და ამისი ბიძა გრიგოლი. ამ მეომართა ისტორია მეტად საინტერესო არის და იქნება ოდესმე ჩვენში მათ შესახებ სადმე რამე წერილებიც კი აღმოჩნდეს, ვინაიდან, ვიცით ისიც, რომ ამ ომის შესახებ დიმიტრი ბაგრატიონს წიგნიც კი დაუწერია და უქია მასში მონაწილე ქართველ მეომართა მხედრება და გმირობა რაც იმათ 1812 წ. ომში გამოუჩენიათ.

ასეთი სულიერი განწყობილება არსებობდა ქართველთა და რუსთა შორის, ასეთი ერთობის პატივისცემა ვითარდებოდა ქართველთ შორის და უნდა ითქვას, რომ რაც საკეთო ქართველოში ამბოხებანი იყო რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, იგი გამოწვეული გახლდათ რუსთა მოხელეთა ბორტ-მოქმედებისაგან და არა რუსეთის იმპერატორის მფარველობის და ქვეშვრდომობისაგან. თვით საქართველოს მთავრებლებიც ასევე სწერდენ რუსეთში ხელმწიფე იმპე-

რატორს და უმაღლეს მთავრობას, რომ ქართველ ერის ამბოხება სულ ჩვენი ჩინოვნიკების და მოხელეების ბრალიათ. ასე იყო საქმე და ცხადი დამამტკიცებელი საბუთებია თვით ალექს. ფრონელის წიგნები: — „ამბოხება კახეთის“ და „მთიულეთისა“. და მასთან „კავკასიის აქტებიც“.

როგორც სჩანს, ასეთი გარემოება და პირობები ქართველი ერისა ოსმალეთის მთავრობამ სულ არ იცოდა. მათ ყოველივე ყალბათ ჰქონდათ შეტყობილი, ამიტომაც იმედი ჰქონდათ, რომ იმპერატორ ნაპოლეონის რუსეთზედ გალაშქრებით ისარგებლებდნენ და საქართველოს დაისაკუთრებდნენ. თუ ეს არა და იმერეთს ხომ მარნც წაართმევდენ და იქ სოლომონ მეფეს გაამეფებდენ. ამიტომაც მათ დაიწყეს მეცადინეობა 1810 წლიდან. რაც ხანი გადიოდა, იმდენათ ოსმალნი რწმუნდებოდენ, რომ ნაპოლეონის გალაშქრებით ჩვენ ვისარგებლებთ და საქართველოს დავისაკუთრებთ. ესენი იმას კი აღარ ფიქრობდენ და არც ეშინოდათ, თუ იმპერატორი ნაპოლეონი, ან მათ რა დღეს დააყენებდა, როგორ უპირებდა მათ აოხრებას. ესენი არც იმ გარემოებამ გააფრითხილა. თუ მათ იმპერატორმა ნაპოლეონმა რამოდენად გაუოხრა თანამოწმუნე მუსულმანთა ქვეყნები, როგორ დასწვა და დაბუგა ისინი და დაიმორჩილა. ეს მათთვის უმნიშვნელო იყო, მათ მხროდ ტურთა საქართველოსაკენ ეჭირათ ფხიზელი ფვალი.

რაც დრო გადიოდა და 1812 წ. ახლოვდებოდთ, მით ოსმალოს მთავრობის მეცადინეობა დღდათ ძლიერდებოდა საქართველოზედ, ოსმალნი ისე იყვნენ გატაცებულნი, რომ საქართველოში სახელმწიფო მზვერავთა გარდა ცნობების შეკრებას უვალებდნენ ისუთ ქართველ მაჰმადიანებსაც კი, რომლებიც ბათუმიდან იმერეთს, ქართლს და ნამეტურ თფილისში ცხენებით ლიმონს, ფორთოხალს, ზეთის ხილს, თაფლს და ლელვს ზიდავდნენ... განზრახვის სისრულეში მოყვანის წადილს დიდათ დაეხმარა ის გარემოებაც, რომ კახეთში

ამბოხება მოხდა საღაც დახოცეს რუსთა მხედრობა, მაგრამ ამაშიც მოტყუყდენ ისინი, რადგანაც შათ აჯანყების, ანუ ამბოხების უმთავრესი, მიზეზები სისწორით სულ არ იცოდნენ. მათ მოამბენი ისეთ ცნობებს აძლევდნენ, რაც ოსმალთ ასრ ამოვნებდა, იგი კი უსათუოდ ყალბათ იყო მოკრეფილი და გადატანილი ოსმალოს მთავრობის წინაშე. ამას თვით ისტორიაც მოწმობს.

ერთმაც არ აუწყა ოსმალოს მთავრობას ის გარემოება. რომ შეიძლება საქართველოში რუსეთის მთავრობის წინა აღმდეგ თითო-ოროლა კაცი გამოვიდეს, ისიც რუსის მოხელეთაგან შეწუხებულნი, რაც შეეხება მთელ ქრონიკას, ეს კი შეუძლებელია, რადგანაც ქართველი ერთ ქრისტიანი ერია, რუსნიც ქრისტიანები არიან, გარდა ამისა ქართველი გლეხნი დიდი ერთგულნი არიან რუსეთის მთავრობის, იგინა რუსეთის ძლიერებისათვის მუდამ ლოცულობენ და თუ საკირო იქნება, მთავრობისათვის სისხლსაც დაღვრიანო. იქნება ესეთი ვითარება რომ სკოდნიყოთ მათ, მაშინ თვისი განზრახვისათვის თავი დანებებინათ. ესეც შეიძლებოდა, მაგრამ ეს მათ არ იცოდნენ და იმპერატორ ნაპოლეონის გალაშქრების მეოხებით საქართველოს დასაქერად განკარგულებასაც. ახლ დენდენ, შრომობდენ.

ოსმალეთის მთავრობის ასეთი შეცდომას ჩვენ სოლომონ მეფეს და მის თანხლებელთ ვაწერთ. ყოველივე ამათი მოგონებული არის, ესენი 1810—11 წლებს, საქართველოდან ცნობებს ვერ ტყობულობდნენ კარგად, ამ გარემოებას ჯერ 1811 წ. ჭირიანობა უშლიდა. ოსმალეთიდან საქართველოში ძნელი იყო შემოსვლა, რადგანაც ჭირიანობისაგან გზები ყოფილა შეკრული და მეორე ის გარემოებაც, რადგანაც ასეთ გარემოებათა გარდა რუსის მთავრობაც ფრთხილათ ადევნებდა თვალ-ყურს იმ გარემოებას; რომ საქართველოდან ოსმალეთში არავინ წასულიყო, სოლომონ მეფე და მის თანახლებულებთან, რომელთა რიცხვიც ერთობ დიდი იყო.

მეფეს იმ პირთა რიცხვი კი არ გაჰყოლია ოსმალში რაც „კავკასიის აქტებშია“ მოხსენებული, არამედ ბევრად ბევრი აღნიშნულ რიცხვზედ. ამის გამო აი რა მიამბო, ქართველ მაჭადიანთ სახალხო მელექსის ხუსეინ ხაბაზი ქამაჯარაძის მამამ 1893 წ. ეს ქართველი მაჭადიანი მაშინ უნდობოდა 110 წლისა, მისი სიტყვები:

„მე, ბატონო, სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს კარგად მოჰვესწარ, მისი თავის მოკვეთაც მახსოვეს. რუსები რომ იმედ-რეთში შემოვიდნენ, მაშინ სოლომონ შეფე თავის კაცებით ქობულეთში გადმობრძანდა, თავის ნათესავ თავდგირიდე ბე-გებთან, მე მაშინ კაი დელეყანტი ვიყავ. მერე ხმა მოვიდა, რომ რუსებმა გურიაც დაიჭირეს და ახლა ქობულეთს მოადგებიანო, ამიტომ მეფე თავის დიდი კაცებით ოსმალეთში წაბრძანდა. მათი რიცხვი 6.0 კაცზედ მეტი იყო. ქობულე-თის ბეგებმა პატივი სცეს და გზათ ჩვენი კაცებიც გააყო-ლეს, ან კაცებში მეც ვერიყ. მეფე ტრაპიზონამდის მივაცი-ლეთ, იქ დაბრძანდა მეფე თავის დიდი კაცებით. ჩვენ სა-ჩუქრები გვიბოძა, მადლობა გვიბრძანა და ქობულეთში გა-მოგვისტუმრა“.

ამ პირმა მომითხრო, რომ 6.0 კაცზედ მეტი იყო თან-ხლებულთ რიცხვი და ჩვენ კი ვიყავით 120 კაციო მეფის თანხლებულნი სულ კაი გვარის ბეგები და აღიები იყვნენ რა-ეს ცხადია რომ ასე იქნებოდა და უნდა ითქვას, რომ სწო-რედ ამ პირთა მეცალინეობით და იმედებით ფიქრობდა ოსმა-ლეთი საქართველოს წართმევას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდე-ბოდა, ქართველებს კარგად ახსოვდათ მათი ამბები და ამიტომ ოსმალთ თავის დღეში არ მიემხრობოდენ, თუმცა ეს ასე იყო და ოსმალეთის მთავრობას ქართველთ დალატის არა-ფერი ცნობები არ ქონდათ. მაინც იგინი ქართველებზედ ყოფილი არ იყო მათ იმედი ჰქონდათ, რომ ჩვენ თუ რუსებს წავართმევთ საქართველოს, ეს უნდა მოხდეს ჩვენ ქვეშევრდომ გურჯი მუსულმანებისაგანათ. მათი დახმა-

რებით თუ ვიზამთ რამეს, თორემ ქრისტიან გურჯების ჩვენ
იმედი არა გვაქვსო.

ამიტომ ოსმალოს მთავრობამ 1812 წ. ქართველ მაჰმა-
დიანებს მიმართა და დაავალა დახმარების აღმოჩენა, რათა
მათ დაეპყრათ მთელი საქართველო, ამ შრომისათვის რა-
საკვირველიბ იგინიც დიდს დახმარებას მიიღებდენ მთავრო-
ბისაგან.. ამათ მიმართვეს, როგორც ბეგებს, ისევე ხალხს,
ერთის სიტყვით მთელ ქართველ მაჰმადიანობას. ამ დროს
მთელს ოსმალეთის საქართველოში დიდათ სახელოვნებდა
სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი. ოსმალეთის მთავრობამ უპირვე-
ლესად ყოვლისა სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს მიმართეს და და-
ავალეს არამც თუ დახმარების აღმოჩენა, არამყდ მთელი
გურჯისტანის აღებაც და რუსეთის გაძევება საქართველოდან,
რის გამო მასაც დიდათ დააჯილდოვებდენ.

სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი, როგორც ოსმალეთის ქვე-
შევრდომი და სჯულით მუსულმანი, ყოველთვის თანხმობას
უცხადებდა და მზათ იყო თხოვნა შეესრულებინა, საქმე ისე
მოეწყო, რომ მთელმა ქართველმა მაჰმადიანებმა სამზადისიც
დაიწყეს. ამხედრება, იარაღში ჩაჯდომა და საომრად მზად
ყოფნა, ამისათვის მათ ოსმალეთის მთავრობამ დიდ ძალი
იარაღიც გამოუგზავნა, ერთი სიტყვით საქმე ისე იყო მოწ-
ყობილი, რომ დანიშნულ დროს, ერთად ერთი დაძახება-ლა
უნდოდათ, თორემ ხალხი ყოველივეთი მზათ იყო. ხალხის
ასეთ სამზადისს მაშინდელმა საქართველოს რუსის მთავარ
მართებელმა ყურადღება მიაქცია და სელიმ ფაშას შეკითხვა
მისცეს საიდუმლოდ, რომ თქვენ ვის საწინააღმდეგოთ რაზ-
მავთ ხალხსაო. სელიმ ფაშას რუსეთის მთავრობასთან კაი
განწყობილება ჰქონდა. ამიტომ მან მალე უგო პასუხი ღა
მთავრობა დააშვიდა მით, რომ თქვენ კარგათ ბრძანდებო-
დეთ, თორემ ხალხი თქვენ წინააღმდეგ ხელში ჩხირსაც არ
აიღებსო. ნაცვლად ამისი მეც და მათაც დიდათ გვსურს
თქვენი ქვეშევრდომობაო.

სელიშ ფაშა რუსის მთავრობას ასე ეპყრობოდა, ასეთ იმედებს აძლევდა, ეს ბოლოს მან გაამართლა კიდევ, ხოლო სმალეთის მთავრობის წინაშე როგორ იქცეოდა, როგორ ათათბირებდა და ატყუილებდა მათ, ამისი კი არა ჭიკით რა. ის კი მოხდა, რომ სმალეთის მთავრობა ძალაზედ და არწმუნა და მათ ომის თავდარიგიც კი დაიწყეს და მარტოდ ბათუმში: სეიდ ბაბა ფაშას 17,000 ათასი ჯარის კაცი გამოუგზამენ ჟს, შეისარაღებული თავის სურსათით და ყოველივე სამხედრო საჭიროებით. ომის დაწყებისათვის სმალეთის მთავრობამ ასეთი გეგმა შეადგინა: იმ დროს, როცა ბათუმში სეიდ ბაბა ფაშა განაგებდა, ახალციხის მთავარ ფაშად იყო ფეხლევანი, ესევე ირიცხებოლი არზრუმის ფაშად. ამავე დროს ფოთის ფაშად იყო სულეიმან ფაშა და აფხაზეთში მთავარ გამგეთ ირიცხებოლი სეიდ მემედ ეფენდი ანაპინ, მთავარ მართებელი. ამათ აქვე ქონდათ ასეთი დადგენილება:

სეიდ ბაბა ფაშას ექვემდებარებოდა იმ დროის გამოჩენილი მეომარი გმირი, ქართველი მაჰმადიანი, ხაზინდაროლი. ესენი უნდა დასცემოდენ გურიას, დაემორჩილებინათ გურულები და მერე აქედან უნდა გადასულიყვენ იმერეთს.

ამავე დროს ფოთის ფაშას უნდა შეერთებოდა აფხაზეთის ფაშა, მეჰმედ ეფენდის მთავარ სარდლობით, ესენი დადის სამხედრო ძალით გავლიდენ სამეგრელოს, აქ ღაიმორჩილებდნენ ყოველივეს და მის მერე გაემართებოდენ ქუთაისისკენ. აქ ყველა ფაშები თავიანთ ჯარით შეერთდებოდენ, ქუთაისს აიღებდენ. რუსებს გააძევებდენ, დროებით აქ იქნებოდა ბათუმის ფაშა და როგორც საქმეს მოაწყობდენ, იმ დროსვე იქ გაჩნდებოდა იმერეთის მეფე სოლომონი და ამას გაამეფებდენ.

ამავე დროს, ახალციხის და არზრუმის ფაშა, არტაანის ბაიაზეთის, ყარსის და ტრაპიზონის ფაშა სელიშ წიმშიაშვილის მთავარ სარდლობით უნდა ახალციხიდან წასულიყვეს აწყვერზედ, გაევლოთ ბორჯომის ხეობა, გასულიყვნენ ქა

რთლში, ჯერ ეს კუთხე უნდა დაემოჩილებინათ და მის მერე უნდა გადასულიყვნენ თფილისისაკენ, აქ მათ მხარს მის-
ცემდნენ დაღისტნის ლეკებიც და ამ სახით და გეგმით და-
იმორჩილებდნენ თფილსსაც. თუ ეს არ მოხერხდებოდა,
მაშინ უნდა სკვილიყვნენ, რომ იმერეთის საზღვარზედ და-
ბანაკებულიყვნენ, აქ უნდა გაჩერებულიყვნენ, იმერეთში რუ-
სის ჯარი არ გაეშვათ, რუსთა მეომართ მაშველათ. ოსმა-
ლეთის მთავრობის ასეთი სამზადისი არც რუსის მთავრობი-
სათვის იყო საიდუმლო, ამათ სელიმ ფაშას კვალად შე-
ეკითხნენ, რომ ესეთი დიდი სამზადისი რას ნიშნავს, თქვენ
რუსის მთავრობასთან ბრძოლა ხომ არ გინდათო.

სელიმ ფაშა ხიშშიაშვილმა ცნობა მოსკაცა, რომ დიახ,
ოსმალეთის მთავრობას ეგრე სურს, მაგრამ არაფერი იქმნება,
ქართველები ოსმალებს არ მიემხრობიან, ჯერ იმიტომ, რომ
იგინი ქრისტიანები არიან და ოსმალნი კი მუსულმანებიო.
მათ ერთმანეთის დიდი მძულვარება აქვთო. 1812 წ. და-
საწყისს მოსწერა მთავარ მართებელ მარკიზ პაულის, რომ
მე არამც თუ თმიდ და თქვენგან დაშორება მინდა, არამედ მენა-
ტორება, რომ თქვენის ჯარის დახმარებით მთელი ამ ჩვენი გურჯა-
სტანის ადგილები ჩამორთმეულ იქნეს. ასმალეთისაგან და იგი
გაეკეთდეს ისეთ სახელშიწიფოთ ანუ სამთავროთ, როგორც იგი
ათაბეგების დროს გახდათო.

ოსმალეთის მთავრობას 60 ათასი ჯარის კაცი ყოლის
მოგროვილი, ამათ მიემატებოდენ ქართველი მაჰმადიანები. და
ლაზებიც. ომი უნდა დაეწყოთ 1812 წ. აგვისტოს ბოლო
რიცხვებიდან და იმედი ჰქონდათ, რომ სულ ერთი თვის
განმავლობაში ყოველივეს დაიმორჩილებდენ. ყოველივეს
სამზადისი ხდებოდა სელიმ ფაშის გეგმით, მისი ცნობებით.
ორის დაწყების წინეთ, სელიმ ფაშამ ოსმალეთის მთავრობას
გეგმა შეუცვალა და აცნობა, რომ ცოტა შევიცალოთ, თო-
რემ საქმე წაგვიხდება, საქმეს წავაგებია, ქართველები ქრი-
სტიანები არიან. რუსნიც მათი მერჯულენი გახლავთ, ქარ-

თველები მათ არ უდალატებენ, ჩვენ არ მოგვემხრობიან, ჩვენი ჯავრიცა სჭირო მათ, ვაი თუ საქმე ისე წაგვიხდეს, რომ ეს აღილებიც წაგვართვანო.

მოიცადეთ ცოტა, მე იმერეთს და ქართლში ჩემს კაცებს ვგზავნი და ხალხში ფფენთ ჩვენს მომხრეობის ცნობებს, რომ მათ ჩვენ მოგვცენ დახმარება, ჩვენ გვიშველონ და რუსების გარეკვის შემდეგ ჩვენ მათ სოლომონ მეფეს იმერეთში დაუდგენთ და ალექსანდრეს თფილისში. ასევე ვატყობინებ გურიის და დალიანს, რომ მათაც რუსთაგან ჩამორთმეული სამთავროები უკანვე დაუბრუნდებათო. ასეთის ჩიწერა-მოწერით და ამბების გზავნით სელიმ ფაშამ 1812 წელი როგორც იყო გაიყვანა, დადგა ზამთარი და ახლა ზამთრის სუსხიანი სიცივეები გახადა მიზეზათ და ამაობაში მოვიდა 1813 წელიც. ამ წლის გაზაფხულზედ კი საქმე ისე მოეწყო, რომ ომი უსათუოდ უნდა დაწყებულიყო, ესეც მალე მოხდა და ახლა ოსმალეთის ჯარი სხვა გეგმით გაფართო ახალციხისაკენ, აქ მოიკრიბეს თავი და აქვდან სურდათ თფილისზედ გალაშქრება. ამ გალაშქრების მთავარ სარდლობასაც სელიმ ფაშას ავალებდნენ, უმთავრესად ამის და ქართველ მაჰმადიანთ დახმარებით ფიქრობდნენ მტრის დაცემას და საქართველოდან განდევნას.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა, სელიმ ფაშამ რუსეთის მთავრობის წინაშე თავისი სიტყვა შეასრულა, ომის დაწყების დროს, მან თავი ავათ გაიხადა, ვგონებ წამალი დალია, ამიტომ მთავრობას აცნობა, რომ მე ავათა ვარ, ომში მონაწილეობის მიღება არ შემიძლიანო. ოსმალეთის მთავრობაში ამას ყურადღება აღარ მიაქცია და სელიმ ფაშის რისხვით საყვედური მისცეს... ომი მალე დაიწყეს, მაგრამ ამ ომით ვერა გააწყესრა.

საქმე მარცხად წაუვიდათ, რუსეთის მხედრობა და მათთან მთელი ქართველობაც მაგრად დახვდენ, თუმც ვერ აჯობეს, მაგრამ არც ფეხი გაამაგრებინეს ქართლს, კახეთს

და იმერეთში. ამათი გალაშქრების გამარჯვება იმითი დამ-
აკავრდა, რომ მათ ქართველთაგან ტყვეთ გაიტაცეს 1500.
ქართველი და 50,000 ათას სულზედ მეტი სხვა სხვა საქო-
ნელი, მაგალითებრ ცხენი, ჯორი, ვირი, ხარი, ძროხა და
კამეჩი, თუ სადმე სოფლებში სარჩო-საბადებელი შეხვდათ
იმასაც იტაცებდენ. ასე დამთავრდა 1812 წლის ოსმალთა
გამოლაშქრება. ერთის მხრით მათ გაუმართლდათ სელიმ
ფაშას სიტყვები, რომ ქართველები რუსებს არ ულალატე-
ბენ, თქვენ არ მოგვემხრობიან. თუმცა სელიმ ფაშა ოსმა-
ლეთის მთავრობის წინაშე ასე გამართლდა, მაგრამ ზოგნი
მას მაინც ღალატს სწამებდნენ და ასმენდენ ოსმალეთის
მთავრობას შემდეგს:

სელიმ ფაშა მოლალატე არის, მან ტყუილათ მოიგონა
ავათმყოფობა, მას არ სურდა ოსმალთ გამარჯვება, იგი რუ-
სების მომხრეთ აღმოჩნდა, რაკი იგი საომრად არ გამოვიდა
ბრძოლის ველზედ, ამიტომ აღარც აქარლები მოგვემხნენ,
იგინიც უკან დადგნენ და ჩვენც მიტომ წავაგეთ საქმეო.
ასეთმა ცნობების ძლევამ სელიმ ფაშაზედ მძლავრათ გაა-
რისხეს ოსმალოს მთავრობა და ნამეტურ სულთან მამუდი.
მათ ისურვეს ამის დასჯა, მაგრამ ამ გარემოებას არც სელიმ
ფაშა დაუვარდა, იგიც წინ აღუდგა, შეკრიბა 6000 ათასი
ჯარის კაცი, რუსეთის ჯარის საწინააღმდეგოთ მოგროვილი
იარაღი ამათ დაურიგა, ამ საომარი საქმისთვის მოტანილი
ჯარის სურსათიც ხირხატის ციხეში შეიტანა და იქ გამაგრდა,
აქედან აპირებდა ოსმალეთის მთავრობისაგან თავის დახწე-
ვას, მაგრამ ეს მას ველარ მოუხდა, 1815 წ. მოტყუებით
გაიტყუეს ხირხატის ციხიდან და თავი მოსჭრეს, მისი
სახლკარიც აიკლეს, დასწვეს და ცოლშვილიც დაუწიოკეს.

ასე გათავდა იმპერატორ ნაპოლეონის ძალა და მუქა-
რებისაგან გამოწვეული რუს-ოსმალთა ომის სამზადისის საქ-
მენი საქართველოში. სელიმ ფაშა ხიმშიაშვილის თავის მო-
კვეთას შერიც ბეგი, ანუ სელიმ ფაშის შვილი-შვილი სხვა

გვარად გადმოგვცემს. იგი სწერს, რომ პაპაჩემი სულთან მამუდმა სტამბოლში მიიხმო და იქ მოსკოვა თავიო. სჩანს ხირხატის ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მორიგებისთვის სტამბოლს მიუხმიათ მოტყუებით და იქ მოუჭრიათ თავი, და არა ხირხატის ციხესთან, როგორც ამას ზედა და ქვედა აჭარაში ჯართველ შავმადიანები ლაპარაკობენ.

სელიმ ფაშა მსხვერპლი გახდა იმ მოსაზრების და ნატვრის, რაის საშუალებითაც ოსმალეთის საქართველო უნდა დაკავშირებოდა რუსეთის საქართველოს და ამ ხალხის ხელმწიფედ უნდა ყოფილიყოს რუსეთის იმპერატორი და მისი მთავრობა. მხოლოდ ამ ძლიერ სახელმწიფოს გამგეობის ქვეშ მოისვენებდა ეს კუთხე. თუმცა ეს აზრი სელიმ ფაშას არ შეუსრულდა და ამ ნატვრის გამო იგი ოსმალთაგან სიკვდილით იქმნა განკითხული, მაგრამ მისი აზრი კი მაინც დარჩა მის შთამომავლობის წინაშე უცვლელად და სანატრო შესასრულებლად.

სელიმ ფაშისავე აზროვნების იუთ მისი შვილი ახმედ ფაშა ხიმშიაშვილი, 1827 წ. საქმე ისე მოეწყო, რომ მთელი სამცხე-საათაბაგო რუსეთის იმპერიას უომრიდ უნდა ჩაბარებოდა, ამისთვის ახმედ ფაშასთან მოლაპარაკებაც იუთ გამართული და პირობაც მიცემული, რომ თუ ეს კუთხე რუსეთის იმპერიას უსისხლოდ ჩაბარდებოდა, მაშინ რუსეთის მთავრობა ახმედ ფაშას ანიჭებდა დიდს საგვარეულო უფლებას. ასეთ უფლებას გარეშე ახმედ ფაშა ითხოვდა კიდევ შემდეგს:

„Если только русскіе оставятъ за нимъ Ахметъ пашей, Его владителскія права и дадутъ чинъ генерала и пехнть“. *) ამას გარდა სხვაც ბევრი რამ ეძღვეოდა ახმედ ფაშას, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და ზოგიერთ შინაურ მტერთა მეოხებით მესხეთ-ჯავახეთი და სხვა კუთხეებიც ოსმალოს საქართველოსი რუსეთის იმპერიასთან 1828 წ. ბრძო-

*) Лазистанский Санджахъ. Тифлисъ 1871 г. 8. ყაზბეგისა.

ლით იქმნა დაკავშირებული. ახალციხის აღების შემდეგ, ახმედ ფაშაც არზრუმს იქმნა გადაყვანილი, იგი იქ მიიცვალა 1836 წ.

მაინც რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების აზრები არ მოისპო, იგი დაშთა შათ ოჯახის წევრთა შორის სამახსოვროდ, ამ კავშირის მონატრე იყო თვით ახმედ ფაშის შვილი შერიფ ბეგი, ამას იმუდი აქვნდა, რომ 1854 წ. ომიანობით შეერთება მოხდებოდა, მაგრამ არც მაშინ მოხდა ეს შეერთება, ამათ ნატვრო კი ოსმალოს მთავრობამაც შეიტყო, რაისა გამო მათი ოჯახიც აკლებულ იქმნა და აოხრებული გავიდა 1854 წელიც, მოახლოებდა 1877 წ. რუს-ოსმალთა ომის დასაწყისიც, ახლა კი საქმე ისე მოეწყო, რომ სელიმ ფაშის შვილის შვილი შერიფ ბეგი სხვა მოხერხებით აღმოსნიდა, სხვა ოსტატობით, ოსმალოს მთავრობის წინაშე მან სხვა ხერხი იხმარა. ამან ვანიძრახა თავის მამა-პაპის ნატვრის სისრულეში მოყვანა და რუსეთის იმპერიასთან დაკავშირება. ამისთვის მას რასაკუირველია სხვანიც ეხმარებოდნენ და ნამეტურ ქართველთ გენერლები, რომელთაც მოლაპარაკება აქვნდათ მაშინ გამართული. დიდი ხნის ნატვრი შეუსრულდა შერიფ ბეგს და მისი სამშობლო ბევრის ვაი ვაგლახების შემდეგ დაკავშირებულ იქმნა რუსეთის საქართველოსთან. ამისთვის შერიფ ბეგს მიუძღვის დიდი შრომა, დიდი ამაგი, როგორც თავის ხალხის წინაშე, ისევე რუსეთის მთავრობის. ამიტომ აქ ვათავსებთ მის სურათსაც იმ სახით და ტანთ საცმლით, როგორც იგი ოსმალოს ხელში, რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებამდის იცომდა. ბოლოს იგი გახლდათ გენერალ-მაიორი რუსის მხედრობის. ითქვას უნდა, რომ 1812 წ. რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებას სასაჩვენებლოდ ოსმალეთში შრომობდა სელიმ ფაშა ხიმში-აშვილი და რუსეთში, ნაპოლეონის ომის წინაშე, მეორე ქართველი, პეტრე ივან ესდე ბაგრატიონი. ორივ ეს პირნი ქართველთ შთამომავალნი, ხოლო ერთი მუსულმანი, ვეორე

ქრისტიანი. ორივ კი ერთი ტომის და ერთი ოჯახის შვილნი. ორივეს მიზანი კი ერთი იყო.

ეხლა ჩვენ გადავალთ შემდეგ კითხვებზედ; რაც ქართველთ და რუსთა ურთიერთობას შეეხება და იმ გარემოებასაც, თუ პეტრე ბაგრატიონი რა გარემოებამ გასტყორუნა რუსეთში და ან იგი რა მიზეზების წყალობით შეიქმნა რუსეთის წაუკეთესო მეომარ-მხედარ-გენერალი. ეს ჩვენთვის საჭიროც არის, რადგანაც ამ ისტორიულ პირის შესახებ ჩვენში ბევრმა არაფერი იცის. უწინარეს კი უნდა ითქვას შემდეგი: 1812 წ. ერთი ქართველი—სახელდობრ პეტრე ივანესძე ბაგრატიონი იღვწოდა რუსეთში, რუსეთის ძლიერების ხელშეუხელობისათვის და მეორე ქართველი საქართველოში სცდილობდა, რომ აქ რუსეთის ძალა მკვიდრად დანერგულიყოს და მისის საშუალებით თვით ოსმალეთის საქართველოც მათ—რუსთა ფლობელობის ქვეშ შესულიყოს. ასე და ამ გვარად, ჩვენ ამ ორი ქართველ გენერალების შრომას და ცდას ერთნაირ სახელს ვანიჭებთ.

პეტრე ივანესძე ბაგრატიონის სწავლა განათლების მიღება რუსეთში, სამხედრო სამსახური და სახელოვნება ჩვენთვის არ უნდა იყოს უცხო და ხამი, თუ რათა: ქართველთ და რუსთა კავშირი იწყება ძველიდგანვე, XVII საუკ. გაცხარებით მიწერ-მოწერაც იმართება ქართველთ და მოსკოვის რუსთა მეფებეთა წინაშე. შემდგომ ამისა, ანუ XVIII საუკ. დამდეგიდამ პეტრე დიდი საქართველოს აპურობს დიდ უურალებას, ამ ორ ხალხთ შორის მიწერ-მოწერაც იმართება. 1720 წ. ვახტანგ მეფე პეტრე დიდის წინაშე გადასახლდა, სამეფოს საქმის შველას ეველრებოდა. ვახტანგს თან გაჰყვა დიდი რიცხვი ქართველობის. რუსეთში მისული ვახტანგი დიდის პატივით იქმნა მიღებული. ვახტანგ მეფემ რუსეთში ყოფნა კარგად გამოიყენა, თავის თანხლებულ ქართველთ ხოგი ახალგაზდები რუსეთის სხვა და სხვა სასწავლებლებში შეიყვანა, ნამეტურ პეტრე დიდის სამხედრო სასწავლებელში.

მოსწავლეთა სკოლაში შილების გამო პეტრე დიდი და მერე გათი მეუღლე იმპერატრიცა ელისაბედიც ეხმარებოდა. ამან დიდათ წააქეზა ქართველთა შვილები.

ქართველთ შვილებმა რუსულ სკოლებში დიდი ენერგია და შრომის მოყვარეობის ჰუნარი გამოიჩინეს, მასთან სწავლის ნიჭი, დიდი ლტოლვილება ევროპიულის განათლების ასეთნი ივვნენ შემდეგნი პირნი, რომელთაც რუსეთში და-ამთავრეს სამხედრო და საერო სწავლანი.

ბაქან III-მე, ძე ვახტანგ მეფის, დაიბადა 1700 წ. გარდაიცვალა 1779 წ. სწავლა დაამთავრა პეტრე დიდის სასწავლებელში, იმგზავრა ევროპაშიც, შემდეგ შევიდა სამხედრო სამსახურში და 1729 წ. მიიღო ხარისხი გენერალ ლეიტენანტობისა. (ბუტ. I ტ.) ქართულად მწერლობდა 1740 წ. ამის საფასით მოსკოვში ქართული სტამბაც გაიხსნა. ექ დაიბეჭდა სხვათა შორის ქართული „დაბადება“, ხუცურად.

ვახუშტი ბატონიშვილი. ძე ვახტანგისა. დაიბ. 1696 წ. გარდაიც. 1772 წ. დაამთავრა პეტრე დიდის სასწავლებელი. მერე იმგზავრა ევროპა—ნახა რომის ქართული სტამბაც, დაარსებული 1627 წ. მერე სცხოვრებდა რუსეთში და იჩი-ცხებოდა სამხედრო პირად, თავის გეოგრაფია და საქართველოს ისტორიული წიგნები რუსეთში დაამთავრა. რუსულის ენიდამაც სთარგმნა მრავლად სხვა და სხვა მსოფლიო ისტორიები.

პაატა ბატონიშვილი, ძმა ვახუშტის. მიიღო სწავლა პეტრე დიდის სასწავლებელში, შემდგომ ამის სწავლობდა საფრანგეთს, ევროპიული ენებიც შეისწავლა და განათლებაც, იყო გონიერი კაცი. რუსეთში ყოფნის დროს ქართულს ენაზედ სწერდა წიგნებს, საქართველოში დაბრუნდა 1760 წ. იგი „შეთქმის“ გამო დასჯილ იქმნა სიკვდილით საქართველოში 1765 წ.

ერასტი თურქი-ტანიშვილი. თანხლებელი ვახტანგ მეფის, სწავლა დაამთავრა პეტერბურგს, რუსეთში ყოფნის დროს

რუსულიდამ ქართულად სთარგმნიდა სხვა და სხვა წიგნებს, ამის ნათარგმნია სოკრატის სწავლა, თარგმ. ლექსალ და ბეჭდილია 1852 წ. „ცისკარში“.

მიხეილ ეჭვიძე. სწავლა მიიღო პეტრე დიდის სასწავლებეში, რუსეთში მსახურებდა სამხედრო სამსახურში. იყო და ქართული მწერლობაც, რუსულის ენიდამ ქართულად სთარგმნა 1, „დიდი არითმეტიკა“ რუსულის დაბეჭდილის 1731 წ. წიგნიდამ. 2, „გეომეტრია“. 3, „ლაბორატორია“ და 4, „სამხედრო ტაკტიკა“. ამის ნათარგმნი წიგნები ვახტანგ მეფემ გაისწორა, ამაზეც ასე სწერს მიხეილ ელვიძე — „ესე წიგნი მე ეჭვიძემ ვსთარგმნე რუსულისაგარ ქართულს ენასაზედა, დღესცა ვახტანგ მეფე მობრძანდა, მან მიბრძანა და თვით მანვე გაასწორა ქართულის ენით, ქრისტეს 1727 წ.“

გაბრიელ ბეჭლოვანი. თანხლებული ვახტანგ მეექვსის, სწავლა მიიღო პეტერბურგს, რუსულიდამ ქართულად სთარგმნა „დიდი გეოგრაფია“ ოთხ ნაწილად. ეს გეოგრაფია მოიხსენება 1805 წ. შედგენილ გამალიელ არქიმანდრიტ გამრეკელისაგან შედგენილ ძველ წიგნების კატალოგში. ამავ გელოვანის აღწერა ვახტანგის მოგზაურობა რუსეთში დაბეჭდილია 1879 წ. უურ. „ივერიაში“.

სვიმონ მაკაცაძე. თანხლებელი ვახტანგ მეფეს, სწავლა მიიღო პეტერბურგს; — ისწავლა ევროპიული ენებიც. რუსულიდამ ქართულად სთარგმნა: „საოჯახო ეკონომიკა“ ვილორიონისა. ეს ვრცელი თარგმანი ასეთის სიტყვებით იწყება: — „ამ წიგნის თარგმნა მე ვახტანგ მეფეშ მიბრძანა და თვით მ.ნეე გაასწორა ქართული ენა, ათვა მოსკოვს მობრძანდა“. წიგნი შევსებულია სხვა და სხვა ფიგურებით. სვიმონ მაკაცაძე მსახურებდა სამხედრო სამსახურში.

ლევან ბატონიშვილი. ეს ბაქარისა. დაიბადა და აღიზარდა რუსეთში, მიიღო რუსული განვითარება, მერე შესულ იქმნა სამხედრო სამსახურში, უკანასკნელ გენერალ ლეიტენანტობადის მიაღწია, იყო ქართული მწიგნობარი, რუსულის

ენიდამ ქართულად სთარგმნა წიგნები: — „დიდი მეტოლილია“, ე. ი. სრული ქვეყნის აღწერა, 2, „აპოვეთეგმატა“ (?) და სხვაც ნაწერ — ნათარგმნი.

ივანე გამზერისძე ბაგრატიონი. ვახტანგ VI-ის შვილის შვილი. სწავლა მიიღო პეტერბურგს, მსახურებდა სამხედრო სამსახურში, მერე გენერალ-პორუჩიკი, ეკატერინა იმპერატრიცას წინაშე, მთავარ სარდლობდა სიბირის დივიზიას.

ალექსანდრე ივანესძე ბაგრატიონი. მმის წული ვახტანგ VI-ისა. საქართველოდამ რუსეთში გადასახლდა 1757 წ. ამ ალექსანდრემ სწავლა რუსეთში მიიღო ვახტანგ მეექვსის დროს, რუსეთში გარდასახლებული მსახურებდა პოლკოვნიკად კავკასიის დივიზიაში.

კირილე ალექსანდრესძე ბაგრატიონი. იყო იმდენად მომზადებული და განათლებული, რომ უკანასკნელ მიაღწია სენატორობამდე. კირილე ბაგრატიონის ძმა უნდა იყოს ივანე ბაგრატიონი, ვისის შვილიც უნდა გახლდეს პეტრე ბაგრატოვორც სჩანს, ივანე მამას არ გაჰყოლია რუსეთში, იგი საქართველოში დარჩენილია და 1757 წ. არ გადასახლებულა, ამიტომაც პეტრე ბაგრატიონი საქართველოში დაბადებულია 1765 წ. მერე კი, ანუ 1780 წლებს, ეს უკვე ნათესავებს რუსეთში მიუხმიად და იქ სამხედრო სასწავლებელშიც შეუყვანიათ, სადაც იგი შემდეგში გახდა უპირველესი მეომარი რუსეთის მხედრობისა. არა სჩანს კარგად ის გარემოებაც, თუ პეტრეს დედა ვისი ქალი იყო და ან ამის მშობლები სადა სცხოვრებდენ იმ დროს, როცა პეტრე ივანესძე გენერალ ოტ ინფანტერიის ზარისხით ირიცხებოდა.

ამით ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ პეტრე ივანესძე არის პირდაპირი შთამომავალი ქართლის მეფეთა მეორე: შტობაგრატიონისა. ამის პაპა ალექსანდრე და მისი შვილის შვილები რუსეთში ყოფილან კარგად ცნობილნი, მერე ესენი რუსეთის თავაღი შვილების სიაშიაც შეტანილი და დამტკიცებული იმპერატორი ალექსანდრესაგან 1803 წ.

სარდიონ ჩოლოფაშვილი. აღიზარდა პეტერბურგს, მიიღო რუსული განვითარება, რუსულის ენიდამ ქართულად სთა- რგმნა „თელემაკი“ და „ქარაბადიმი“, იყო სამხედრო მსა- ხური, 1770 წლებს საქართველოში დაბრუნდა, თფილისში სამ- ხედრო სასწავლებელი გახსნა და ქართველთა შვილებს რუ- სულ ენას ასწავლიდა.

რევაზ ყორჩიბაშისშვილი. პეტერბურგში მიიღო სწავლა. რუსეთში ყოფნის დროს ქართულად მწერლობდა, რუსულის ენიდამ ამან სთარგმნა „პანტეონი“, რომელიც იმ დროს რუსეთში დიდათ სახელოვნებდა. სწერდა სხვა და სხვა ლექ- სებსაც ქართულ ენაზედ.

ალექსანდრე ამილახვარი. სკოლებდა რუსეთს, იყო დამ- წერი მეფე ერეკლეს კრიტიკული ისტორიის. ეს ისტორია მან პეტერბურგში ცალკეც გამოსცა 1787 წ. ოვის სუ- რათით.

ზავანდ ანდრიანიშვილი. სწავლა მიიღო რუსეთში, იყო რუსეთის სამხედრო სამსახურში და „მცოდნე არტილერისტი და გეომეტრი“ რამდენიმე წლის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა, მეფე ერეკლემ პატივით მიიღო. ამან დაარსა თფილისში არტილერია. ამანვე შეადგინა საქართველოში მორიგი ჯარის კრება და მისი წესები რუსთა კვალად. გარ- დაიცვალა 1815 წ. ამანვე გააკეთა თფილისში „თავხსნა“ და სხვაც მრავალნი ასეთნი.

დიმიტრი ციციშვილი. ნასწავლი რუსეთში, რუსის სამ- სახურშივე მყოფი. შეძლევ დაბრუნდა საქართველოში, იყო მთარგმნელი. მონაწილეობას იღებდა 1812 წ. ომში.

ქაიხთსრო მდიდარებეგი. მცოდნე რუსულის ენის და რუ- სეთში მსახური, იყო მელექსე, დასწერა პოემა „მიჭნურთ ბუდე“.

დიმიტრი ამილახვარი. ეს ალექსანდრესი, აღიზარდა რუ- სეთს, სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში. ქართულად სთარგმნა წიგნი „ოქთას აღნაქვსი“.

გახტანგ ბატონიშვილი, ბაგრატიონი. ეს გიორგი XIII-ის. სწავლა მიიღო რუსეთში, ქართულს ენაზედ სთარგმნა 1. „ცხენის კარაბადინი“, 2. „კარაბადინი ფრინველთა“. უთარგმნის „ფერივერკი“, ანუ „ცეცხლის მფრქვეველი შეშეუნა“, მის-დევდა ლექსების წერასაც. 1812 წ. რუსთა და ფრანცუზე-ბის ომში იღებდა მონაწილეობას, ამის გვერდით იყვნენ სხვა ბატონიშვილებიც, რომელთაც თავიანთ სურვილით მიიღეს მონაწილეობა.

დამიტრი ბაგრატიონი. სახლი კაცი პეტრე ბაგრატიონის სა. სცხოვრებდა რუსეთს, იყო სამხედრო სამსახურში, მრა-ნაწილეობას იღებდა რუს-ფრანცუზთა ომში 1812 წ. დრო-მიტრი ქართულ მწერლობასაც მისდევდა, ამან დასწერა ლექსად „წამება ჭეთევან დედოფლისა“, რომელიც პეტერ-ბურგში დაბეჭდა 1816 წ.

გრიგოლ ბაგრატიონი. ბიძა დამიტრი ბაგრატიონისა. იყო მწიგნობარი, სცხოვრებდა რუსეთში, მიიღო მონაწილეობა რუს-ფრანცუზთა ომში. გარდაიცვალა რუსეთშივე.

გაბრიელ შაიორი. იყო თფილისელი. სომხის სჯულის მე-ქონი. დიდხანს სცხოვრებდა რუსეთში, მსახურებდა სამხედრო სამსახურში, იყო მახვილ-გონიერი კაცი, მაიორის ხარისხის შეძენის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა, იყო მთარგმნე-ლი რუსულის ენიდამ წიგნების, ამან ქართულს ენაზედ ბევრი რამ წიგნები სთარგმნა. ამანვე მოაწყო პირველად ქართული თეატრი და პიესების წარმოდგენა. ეს პირი და-კუწულ იქმნა 1795 წ. აღა მამად ხანის ომში.

დავით ბატონიშვილი, მემკვიდრე გიორგი მეტისა, გაი-ზარდა რუსეთის სამხედრო სასწავლებელში, მერე მსახუ-რებდა მხედრობაში, რუსეთში შიალწია გენერალ-ლეიტენან-ტობამდის. მამის სიკვდილის დროს, იგი ამ ხარისხის იყო.

შავლე ციციშვილი. ცნობილი პირი. აღიზარდა რუსეთში, სწავლა მიიღო სამხედრო სასწავლებელში, იყო ნიჭიერი მოსწავლე, მერე მსახურებდა რუსეთში, ბოლოს შიალწია

გენერალ-ლეიტენანტობამდის. ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიასთან დაკავშირების შემდეგ, საქართველოში პირველ მთავარ მართებლად ეს იქმნა დანიშნული. მოკლულ იქმნა ბაქოს აღების დროს.

გათავის ნაცვლიშვილი. ანტონ კათალიკოზის თანხლებული, გაათავა ჯერეთ მოსკოვის სემანარია, მერე იქვე რუსის აკადემიის სწავლა მიიღო 1777 წ. იყო კაი მთარგმნელი რუსულის ენიდამ ქართულს ენაზედ წიგნების. ეს პირველი მაგალითი იყო რომ ქართველმა რუსის აკადემიაში მიიღო სწავლა.

ფარლამ ერისთავი. თანხლებული ანტონ პირველის, სწავლა დაამთავრა რუსეთის აკადემიაში, იყო მწიგნიბარი პირი, მერე პირველი ექსარხოსი საქართველოსი.

სიმონ ჭელიძე, მოსდოკელი ქართველი. მიიღო სასულიერო სწავლა, მერე დაამთავრა მოსკოვის აკადემიის სწავლა 1780 წლებს.

აქ მოთვლილ პირთ გარდა რუსეთში მრავლად იყვნენ და შსახურებდნენ სხვანიც, ზოგი მათგანი აფიცერი იყო, ზოგი სხვა ხარისხის, ზოგიც ვინ იცის რის ხარისხის მექინი, ზოგი გამოჩენილნიც მხედრობის შსახურების ნიჭით. ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით, ასეთ პირთა რიცხვი ნამეტურ გამრავლდენ XIX საუკ. შემდეგ რაკი საქართველოს რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებაც მოხდა, მინამდისაც კი რუსეთის გუბერნიებში მრავლად იყვნენ. იმ ქართველთ შთამომავალთა შვილების, რომელებიც ვახტანგ მეფეს გაჰდაყვნენ რუსეთში, მათში გენერლებიც მრავლად იყვნენ, როგორც პანჩულიძე, წერეთელი, მუხაიძე, ლომიძე და ბევრი სხვანი, რომელთაც ვვარები გადაკეთებულები აქვნდათ, ანუ გადასხვაფერებულნი.

რაც შეეხება ქართველთ მეფეთა ვარის შვილების რიცხვს რუსეთში, ამასაც აახლოვებდა ის გარემობა; რომ ჩვენ და რუსთა შევრს წარჩინებულ გვარის შვილებთ შორის

გამართული იყო ნათესაობა, ნათლიობა და ამიტომ რუსეთში ხშირად იხმობდნენ საქართველოდამ რუსეთში თვის მონათესავთა და მონათლულთა შვილებს სასწავლებლად. ასეთია მაგალითებრ ქართველის პოეტის და გრიბოედოვის სიმამრის ალექსანდრე ჭავჭავაძის საქმე, რომელიც ეკატერინა მებერატრიცას მონათლული იყო და პეტრე ივანესძე ბაგრატიონი, რომლის მამიდაც გათხოვილ იყო. რუსეთის ცნობილს ლ. ა. გალიცინზედ და რომელ ქალის თაოსნობითაც ახალგაზრდა პეტრე მიხმობილ იქმნა პეტრებურგს. სასწავლებლად, საღაც მან სახელოვნებით დაამთავრა თვისი მხვედრი.

რუსეთში ქართველთ შვილების სწავლის სიყვარულის გზა გაეხსნა პირველად 1721 წ. ვახტანგ მეფის გადასახლების დროს. მის მერე ქართველნი ნელ-ნელა მიღიოდნენ რუსეთში, მათი სწავლის სიყვარული ქართველებში ისე წავიდა წინ, რომ ანტონ კათალიკოზმა საქართველოში მოსვლის და საკათალიკოზო ტახტის მიღების უმაღლ. თფილისში და თელავში სემინარიები დაარსა რუსეთულის სემინარიების წესით, ამაებს გარდა 1782 წ, რაკი საქართველო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ შევიდა, მის მერე ქართველთ შვილებმაც მრავლად-იწყეს რუსეთის სასწავლებლებში მგზავრობა და სწავლის მიღება. ეს რომ ასე არის, ამას ეჭვი არ უნდა. ეს ცხადია ისტორიულად და კეშმარიტი.

ამიტომ აქ საკვირველი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ პეტრე ივანესძე ბაგრატიონი, ქართველთ სამეფო ოჯახის წევრი, რუსეთის სამსახურში, ისეთი გამოჩენილი და მოხერხებული გენერალი გახლდათ. მაინც ქართველებს რუსეთის სამხედრო სამსახური დიდათ ემარჯვებოთათ. ნამეტურ ქართველ თავად-აზნაურობამ ხომ მთელი გუნდი აჩუქა. შესანიშნავის მხედრების, მხედართ მთავრების და სხვაც ასეთების, რომელნიც უტყუვრად ამშვენებენ რუსეთის ისტორიას. ქართველი ერის სულიერი ვითარება ისეთის საქრისტიანოს

ვითარებით იყო სავსე, რაც უაღვილესად და მარტივად აყვარებდა ქართველებს რუსებს, ამიტომაც თავ მოსაწონიც უნდა იყოს ჩვენთვის ის გარემოება, რომ რუსეთის სამხედრო და საერო ისტორიის ასპარბსზედ მრავლად ისახელეს თავი ქართველთ სამხედრო პირებში. ამიტომ ჩვენთვის არც ის გარემოება უნდა იყოს უცხო, რომ რუსეთის მთავრობის და სამსახურის წინაშე პეტრე ბაგრიტიონი ისეთის ენერგიის კაცი აფმოჩნდა და მასთან სახელოვანიც, ასეთი სახელოვანი შეილები ქართველშა ერმა რუსეთის იმპერიას XIX საუკუნის შემდეგ უფრო მრავლად და უხვად აჩუქა, რომელთა შრომა და სამხედრო რაინდობითაც მოფენილია კავკასიის მთები, მათი სისხლით მოარწყულია ოთხსავ კიდე და მათისავე ძალოვნებით და ენერგიულის შრომით არის საქირთველოში რუსეთის მთავრობის ძალა დამყარებული. ჩვენ ასეთ სახელოვან ძველ გენერალთა სახელების მოხსენებით თავს არავის ვატკენთ, დავასახელებთ თუნდ მოკლეთ ისევ ჩვენი დროის პირთ:

თობეჭიანთ გვარის გენერლებს: გრიგოლ დიმიტრისძეს, სოსიკოს, ვატანგს, ლიმიტრის, ალექსანდრეს, მამუკას და სხვათაც მრავალთ წარჩინებულთ.

ციციშვილების გვარიდამ პავლედამ დაწყობილი მრავლად სხვებიც გამოჩენილნი.

ერთა სთავიანთ გვარის მრავალთ გიორგი რამანიჩ გენერალ-ლეიტენანტს და ატამანს და მრავალთაც სხვებს.

ჭავჭავაძის გვარის გენერლებს ნიკოლოზ ჭავჭავაძეს, ზაქარია ჭავჭავაძეს, დავით ჭავჭავაძეს, ივანე სულხანისძე ჭავჭავაძე, პოეტი ალექსანდრე და სხვანიც.

დადიანთაგან მრავლად ნიკოლოზ გენერალი, ნიკოლოზ მეორე—მთავარი, გრიგოლი გენერალი, და მრავალნიც სხვანი.

გურიელების გვარიდამ გენერალ გრიგოლ გურიელი, იესე და ბევრიც სხვანი.

შარვაშიძეების გვარიდამ რამდენიმე წარჩინებულნი გე-
ნერლები.

მელიქიშვილების ლევან ივანესძე და ბევრიც სხვანი.

ამილახვრების, როგორიც იყო ივანე გივისძე და ვინ
იცის რამდენი კიდევ ენით უთვლელნი სხვანი, რომელთაც
რუსეთის სამხედრო სამსახურში დიდი დიდებით და სახე-
ლოვნებით ისახელეს თავი. ამდენი მაგალითების შემდეგ
მივალთ ახლა პეტრე ივანესძე ბაგრატიონის ანუსხვაზედ, მო-
ვიყვანთ მხოლოდ იმას რაც ჩვენთვის არის საჭირო.

პეტრე ბაგრატიონი სუვოროვის ხელმძღვანელობის ქვეშ
რუსეთის 1812 წ. შესანიშნავ მეომართა რიცხვს ეკუთვნის.
პეტრე ივანესძე ბაგრატიონი, თავის დროის კვალად ეს ცნო
ბილი გმირი კაცი არის, უპირველესი მებრძოლი რუსეთის მხე-
ლრობისა. ამან თავის დროს დიდათ გამშვენა რუსეთის
სამხედრო სახელი. ამ პირს რუსეთის ერის ისტორიაში უკა-
ვა დიდი ადგილი, 1812 წ. ომის ისტორია მას ანიჭებს
უაღრეს მნიშვნელობას, იგი სჩანს უერთგულეს მებრძოლად
რუსეთის ერის და ხელმწიფის ტახტის წინაშე.

პეტრე ბაგრატიონი დაიბადა 1765 წ. საქართველოში,
იგი ეკუთვნის ვახტანგ VI-ის ძმის წულს ალექსანდრე ბაგ-
რატიონების ოჯახს, პირდაპირი ნათესავი არის ვახტანგ VI-ის
შთამომავლობის და ამათ ნათესაობის. პირველ დაწყებით მან
წერა-კითხვა და თავის დროის შესაფერი სწავლა საქართველოში
შიიღო ისე, რა წესითაც მაშინ ასწავლიდენ ქართველთ სამეფო
ოჯახის შვილებს. პატარა ბაგრატიონი მეტად გონიერი თვისების
და სწავლის მოყვარე, იგი სასწავლებელში იქამდის გულის
ყურიანი იყო, რომ თავის დროის კვალად რუსულ ენასაც
კი სწავლობდა. საქართვილოში, ქართველთ რუსული ენის
შესწავლა სავალდებულოდ შემოიღეს 1765 წლიდამ. ამ
წლიდამ რუსულ ენასაც ისევე ასწავლიდენ ქართველთ შვი-
ლებს, როგორც არაბულს, სპარსულს და ოსმალურს.

პეტრე ივანესძეს რუსული წერა-კითხვა და ლაპარაკი
საქართველოშივე სუოდნია, ამას გარდა მისი ბუნებრივი ნი-

ჭირ სხვა სწავლის მიღებაშიაც მოხერხებული, მარჯვე ყოფილა, ამის ნიჭიერების ამბები მის ნათესავებსაც კარგად სცოდნიად და მასთან იმ მანდილოსანსაც, რომელიც რუსეთში იყო გათხოვილი. გარდა ასეთი გარემოებისა, მაშინ ქართველთ შორის, უკვე გავრცელებული იყო ის აზრებიც, რომ ვისაც კაი სწავლის მიღება უნდა, ის უსათუოდ რუსეთში უნდა წავიდეს სასწავლებლადა და არა სპარსეთში. ქართველთ ამის საფუძველიც აქნდათ, რადგანაც რუსეთში ქართველი მოსწავლენი უფრო დიდის ცოდნით და სახელოვნებით იმოსებოდენ, ვიდრე სპარსეთში.

ქართველთ შვილებში რუსეთის სასწავლებელთა უპირატესობა გავრცელდა 1770 წ. რაკი მოსკოვის ოკადემიაში სწავლა დაამთავრა რამდენმამე ქართველმა, რომელთა სწავლის გათავების ცნობაც მთელ საქართველოში იქმნა მოფენილი. სწავლის გარემოება ისე წავიდა წინ, რომ ქართველთ შვილები უაღრესად, დიდის ხალისით გაჰყვნენ ამ ცნებას. ოკადემიების სწავლის გარდა ქართველთ თვით საუნივერსიტეტო სწავლის გეგმაც შეიტყეს და გაიცნეს, ქართველთა რუსეთში სწავლის ნატვრა საიდუმლო აზრი არავისთვის იყო, იგი ყველას წინაშე იქმნა ცნობილი, რომ ქართველთ შვილებს დიდათ ენატრებათ რუსეთში სწავლა-განათლების მიღებამ.

პეტრე ბაგრატიონის ნიჭიერებამ უაღვილესად მიაღწია თავის მამიდამდის, რომელი მანდილოსანიც ჩვენ უკვე ზემოთ გაკვრით მოვიხსენეთ. ამ ქალმა ისურვა პატარა პეტრე ბაგრატიონის რუსეთში დაბარება და სამხედრო სწავლა-განათლების მიღება ეს მაღლეც დაიბარა, 16 წლის ბაგრატიონი უკვე რუსეთში გაემგზავრა თავის მამიდასთან, სადაც იგი მაღლე მივიდა მისვლისათანავე ამას დაუწყვეს რუსული ენით სწავლა-განათლების მიცემა, ამავე დროს, იგი წარუდგინეს გამოჩენილ მხედართ მთავარს გენერალ პოტემკინს, რომელმაც პეტრე ბაგრატიონი იმ დღიდგანვე ჩარიცხა კავკა-

სიის მუშკეტერის პოლკში. ასე რომ ამის სწავლა-განათლების მიღება და მხედრობაში სამსახურად ჩარიცხვა ერთ დროს იწყება.

სამხედრო სამსახური პეტრე ბაგრატიონმა სულ უბრალო მსახურებით დაიწყო, მაგრამ ამავე დროს, იგი როგორც სამხედრო საქმიანობით, ისევე სწავლა-განათლებითაც დიდს ნიჭის იჩენდა, საქმე ისე კარგად წაუვიდა, რომ ორი წლის მერე რუსულს ისე სწრდა და კითხულობდა, ისე ლაპარაკობდა, როგორც ნამდვილი რუსი. მას კაცი მარტო სახით შენიშნავდა, რომ იგი რუსი არ იყო და ქართველი, ან სხვა ტომის უნდა ყოფილიყოს, თორემ რუსული ენის მხრივ მისი გარჩევა ძნელი იყო თურმე, ესეც ერთი ნიშანია პეტრე ბაგრატიონის, ბუნებითი ნიშიერების. დავსძენთ იმასაც რომ პეტრე ბაგრატიონის დროს, საქართველოში რუსეთში, ქართველთ შვილებმა უხვათ იწყეს სიარული, თითქმის მუდამ თვე და წელს მიღიოდენ თითო თროლა მოსწავლენი, ამის წარმატების საფუძვლად გახდა საქართველოს ხელ-შეკრულობა და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა მეორეს მფარველობის ქვეშ 1782 წ. შესვლა.

სამხედრო სამსახური, პეტრე ბაგრატიონს ბრძოლის ველზედ აღრე მოუხდა, იგი ჯერეთ ოკი წლისაც არ იყო, რომ უნტერ აფიცირის ხარისხით მონაწილეობა მიიღო რუსეთის მხედრობასთან ჩეჩენებზედ გალაშქრებაში. 1784 და 1786 წლებს. აქ, ბრძოლის დროს, პეტრე იჩენდა დიდს გამბედაობას და სიმარდეს ომის წუთებში, მან არა ერთხელ და ორჯერ გაიმარჯვა, იგი ისეთის ცეცხლით პფრინავდა რასაც თურმე მათი უფროსი პოლკოვნიკი განცვითრებით უმზერდა. ასეთის თავ-გამოდებულის ბრძოლის დროს, ერთ ალაგას დამარცხებულ იქმნა რუსეთის მხედრობა, თითქმის მთელი რაზმი მოსპეს თურმე ჯარისა და მასთან მხედრობის უფროსიც მოკლეს. ამ ომში მძიმედ დასჭრეს ბაგრატიონიც. ამ ომის გამო ჩეჩენები და მათი მეზობლები ძალიან

გაბრაზებულნი იყვნენ რუსეთზელ, ესენი ვისაც კი შეხვდებოდენ რუსის მხელარს, თუ სხვა ვინმეს ყველას სცარცვაფდენ, ასე და ამ გვარად, როცა ბაგრატიონი დასჭრეს, მის მერე მისკენაც წასულან გასაცარცვავათ, მაგრამ მისულთ მალე უცვნიათ, რომ პეტრე არის საქართველოს სამეფო შეილთა შთამომავალთაგანი, ამიტომ იგინი მისგან შორს დადგნენ და გაცარცვის მაგიერ თანაგრძნობა განუცხადეს და მფარველობაც იღმოუჩანეს. ჩეჩენთაგან პეტრეს ცნობა ჩვენ არ უნდა გვიკვირდეს, რადგანაც 1700 წლების შემდეგ, ვანჭ ტანგ მეფის სიმამრის ჩერქეზის ბატონის წყალობით, ქართველი ერი და მეფეთა შთამომავალთ ცნობანი მათ კარგად გაიცნეს. ასე რომ 1700 წლებიდამ ჩვენ საკმარისად დაგვიახლოვდენ ჩეჩენები, ჩერქეზები, გაღმა მხრის ასები და მრავალიც სხვა ასეთ მთის ერნი.

ბაგრატიონის ცხოვრების რუსის ოღმწერი მოგვითხრობს, რომ „ჩეჩენები მიუახლოვდნენ თუ არა, მათ მაშინათვე იცნეს შვილი იმ ჰატიათსან ქართველთა, რომელიც მთსდოვში ცხოვრების დროს, დახმარებას აძლევდენ არამც თუ მარტოდ თავისიანებს, არამედ უვეჯას და ნამეტურ მათ მთას ჩალესაცო“. ამ ცნობის წყალობით გადარჩა ბაგრატიონი სიკვდილს, თორემ თუ არ ეს, მათ ისეთი ჯავრი სჭირდათ რუსების, რომ ბაგრატიონიც უცნობლობის გამო უსათუოდ მსხვერპლი გახდებოდა, ნაცვლად ამის მთის ხალხმა თურმე მიიღეს ყოველნაირი ღონის ძიება, რომ ბაგრატიონი არ მომკვდარიყო. მოარჩინეს თურმე და კარგად გახდეს. ამ სიცოცხლის ჩუქების შესახებ მრავალჯერ ულაპაკნია თურმე თვით ბაგრატიონსაც. მთიულებზედ გალაშქრების დროს, სულ მოკლე დროის განმავლობაში, ბაგრატიონმა ისე ისახელა თავი სახედრო სიყვარულის ნიჭით, რომ მან ყურადღება მიიპყრო თვით გამოჩენილის სუვოროვისაგანაც. სუვოროვი თურმე აღტაცებული დარჩა ბაგრატიონის ბუნებრივის საშედრო ნიჭით, ვაჟკაცობით და გმირობით, რაც ბაგრატიონს ცხა-

დათ ემჩნეოდა. ბაგრატიონი მალე იქმნა დაჯილდოებული შესაფერის ღირსებით და ნიშნებით. ამის შემდეგ, 1788 წ. ატყდა რუს-ოსმალთა ომი, ამ ომშიაც ისახელა ბაგრატიონმა დიდათ, ომის შემდეგ ბაგრატიონმა პრემიერ მაიორობასაც ადვილად მიაღწია და მის შემდეგ იგი მსახურებდა ვმირულის განძელაობით პოლონეთში, სადაც მის უფროსად სუვოროვი გახლდათ. აქ მსახურების დროს მას პოლონელთა ომშიაც მოუხდა ბრძოლა და 1794 წ. მან პოლონელნი სასტიკათაც დაამარცხა, ამ გამარჯვების შემდეგ იგი სხვა და სხვა წვრილმან ბრძოლასაც ესწრებოდა, სადაც ყველგან მამაცობას იჩენდა. ამავ წლის 1794 წ. სექტემბრის 11-ს დაამარცხა შძლავრად პოლონელთა მძლავრი კავალარიის მხედრობა. დამარცხებულ პოლონელთ კავალერიას ისე გაუკირა საქმე, რომ იგინი გაქცეულ იქმნენ თავიანთ ბანაკიდამ. ამის შემდეგ მთელი თავის სიცოცხლე ბაგრატიონვა სამხედრო ასპარეზზედ გაატარა სახელოვნათ. ამის ნიჭიერი მხედრობის ავკარგიანობის შესახებ ჩვენ არ ვილაპარაკებთ, მხოლოდ ცნობებს მოვიყვანთ, რაც ცხადლივ გამოაჩენს ამ გმირულ მეომარ თავ-განწირულ კაცის ღირსებას. ამის ღირსების გასაცნობად და მიმოხილვად ესეც კმარა, იგი უდიდესი გმირ გენერალთაგანია რუსეთის ერის ისტორიაში.

1794 წ. 13 ოქტ. პოლონელს, დაბა ბორდოსთან, იგი შეეფეთა პოლონელთა ბრძოს, 1000 კაცი, რომელიც ტყეში იძალებოდენ, მათ აქვნდათ სამხედრო იარაღი და ერთი ზარბაზანი, ეს ბრძო ბაგრატიონმა სასტიკათ დაამარცხა, წაართვა ზარბაზანი და მასთან ტყვეტ იპყრა 250 კაცი.

1794 წ. 24 ოქტ. ქ. პრაგის ახლო, ბრძოლაში გამოიჩინა დიდი სამხედრო გმირობა და მსწრაფად გააძევა პოლონელთ კავარელია. ასეთის გმირობისთვის მას სუვოროვმა გადესცა დიდი მაღლობა. ამ ბრძოლის შემდეგ მოჰყვა ვარშავის აღებაც, ამ ბრძოლაშიც ბაგრატიონმა დიდათ ისახელა თავი. ბაგრატიონმა თურმე სუვოროვისაგან შეიძინა ბევრი

რამ სამხედრო ცოდნა და ოსტატობა. 1798 წ. იგი და-
ჯილდოებულ იქმნა პოლკოვნიკის ხარისხით. 1799 წ. მი-
იღო გენერალ-მაიორობა. ამავ დროს დაიწყო ფრაცუზების
ომი, ამ დროს, იტალიაში გაიგზავნა სუვოროვის მეთაურო-
ბით რუსეთის მხედრობა, ამათშივე გახლდათ ბაგრატიონი,
ამ ომიანობის დროს ბაგრატიონმა მიიღო დიდი თანამდე-
ბობა და მასთან დაფალებაც უმაღლესის კარიდამ. უმაღლესი
დავალება მან ჩინებულად შეასრულა და აქ ომიანობის დროს
გამოიჩინა დიდი გმირობა. სამხედრო შნო და რაინდობა,
რის საშუალებითაც აღებულ იქმნა რამდენიმე ქალაქ-დაბები
და სხვანი, აქ იგი დაჭრილიც იქმნა, მაგრამ იგი მაღა-
მარჩინეს, ამის შემდეგ მისი სახელი განითქვა იტალიას,
ავსტრიას, საფრანგეთს და სხვაგანაც.

1799 წ. ენკენისთვიდამ, სამხედრო მოქმედება იქმნა
გადატანილი შვეიცარიაში. აქ ბაგრატიონი იქმნა დანიშნუ-
ლი მოწინავე ჯარის უფროსად, სადაც გაითქვა და დაიმსა-
ხურა დაუღალავ-დაუმარცხებელის მეომრის სახელი. 13 ენ-
კენისთვეს აიღო დაბა თიროლი, სენ-გოტარდის გზაზედ.
მეორე დღეს იგი გადავიდა მტრისაგან ნახევრად დანგრეულ
ეგრედ წოდებულ „ეშმაკის ხიდზედ“, რომელიც არის აღგე-
ბული თითქმის უფსკრულზედ, ორ უზარ-მაზარ მთის შუა.
გადასვლისთანავე ბაგრატიონმა აიღო მუთენის ველი, 19 და
20 ენკენისთვემდე საშინლად დაამარცხა მტერი ვენტალის
ველზედ, სადაც თითონაც იქმნა დაჭრილი. მიუხედავათ
ამისა, გან 24 ენკენისთვეს დ. შვანდენთან 12 საათის გან-
მავლობაში დაიჭირა მტერი, რომ მიეცა შეძლება სუვორო-
ვისათვის გადასულიყო ელმაზე. ამისათვის ბაგრატიონი და-
ნიშნულ იქმნა იმპერატორ პავლესაგან შეფად ეგერის ავანდ-
გარტ ბატალიონის და დაჯილდოებულ წმ. ანნას პირველ
ხარისხოვან ორდენით.

ბაგრატიონის ნიჭიერება თვით პავლე. იმპერატორსაც
ეუწყა სუვოროვისაგან. პავლე იმპერატორის მეფობა ბაგრა-

ტიონმა ჩინებულის სამსახურით დაასაბუთა. ამის შემდეგ გა-
მეფედა ძე ამისი ალექსანდრე იმპერატორი და ამის მეუღლაშიც
ბაგრატიონი აღმოსჩნდა შესანიშნავ მხედართ-მთავრად. 1805
წ. დაიწყო ნაპალეონ იმპერატორის ომი რუსეთის სახელმწი-
ფოსთან, ამ ომში მთავარ-სარდლობდა კუტუზოვი, რომლის
გამგეობის ქვეშ იყო ბაგრატიონი. ამ ომში დიდი შნო და
სამხედრო ცოდნა გამოიჩინა და 6,000 კაცით დაამარცხა 30
ათასი კაცი და გააძევა მტერი, აქ ბაგრატიონმა ისეთი გმი-
რობა გამოიჩინა რაც აკვირვებდა მთელ ევროპის ერს, ავსტ-
რიას, გერმანიას, პრუსიას, იტალიას და საფრანგეთს. თვით
ნაპალეონ იმპერატორმაც. ამის ცნობის მოყვარეობა ისე
წავიდა წინ, რომ თვით ნაპალეონსაც კი მოახსენეს რომ
ბაგრატიონი ქართველი არის.

ბაგრატიონი ისეთი თვალის ჩინის კაცი ყოფილა და ისე-
თი ძლიერების, რაისა გამო იგი უადვილესად იმორჩილებდა
თვით მტერსაც თურმე, ერთი ამის სიტყვა და ხელის განძრე-
ვა უჩიამულს ჰგვიდა თვით ჯარის კაცთაცა. ამის ცდა მას
ყოველს ომის დროს ჰქონია, ერთხელ, როგორლაც მისმა
აღიუტანტმა მოახსენა, რომ „მტერი ჩვენ ცხვირ-წინ არი-
სო“ — ბაგრატიონი ამაზე არ გაწყრა, რომელსაც მეტად დი-
დი ცხვირი აქვნდა, ჰკითხა აღიუტანტს: ვის ცხვირამდის?
შენ ცხვირამდის თუ ჩემისო, თუ ჩემ ცხვირამდის, მაშინ ჩვენ
საუზესაც მოვასწრებთო.

1808 წ. იღებდა მონაწილეობას შვედელების ომის ფინა-
ლიანდიაზედ გალაშქრებაში. შვედელებთან ომში ამან გამოი-
ჩინა დიდი მხნეობა, რის გამოც მისი სახელის გმირობა, მთელ
ევროპაში განისაზა, შვედები ამან სასტიკად დაამარცხა, საქმე
ისე მოაწყო, რომ 1809 წ. თვით შვედების კოროლის წინა-
შე დაამარცხა სასტიკად მათი სამხედრო რაზმი, აქ ამის ომი-
ანობა შესანიშნავის გამარჯვებით გათავდა. ბაგრატიონს
ტყვედ ჩაუვარდა 300 ჯარის-კაცი, 21 აფიცერი, აუარებელი
ქონება, 2 ბაირალი, 30 ზარბაზანი და სხვა. ბევრი რამ.

ამ გამარჯვების სამახსოვროდ მან მიიღო გენერალ-ინფანტერობა და ვლადიმერის პირველი ხარისხის ორდენი და სხვა საჩუქრები შვედელებთან ომში გმირობის გამოჩენის გამო.

1809 წ. ბაგრატიონმა მიიღო უმაღლესი ხარისხი და შასთან მთავარ-სარდლობა, რომელიც თავის ლაშქრით მდინარე დუნაის მხრით უნდა შებმოდა ოსმალთ. აქც ამიანობით დიდათ ისახელი თავი და ოსმალთ წაართვა ბევრი ადგილებში, რაისა გამო მან მაღლობა მიიღო თვით იმპერატორის ალექსანდრესაგან. ამის მაღლობამ უფრო გაამნევა ბაგრატიონი.

1810 წ. იმისი სამხედრო გამზედაობა კვლად იქმნა და ფასებული თვით იმპერატორის ალექსანდრე პირველისაგან და დასაჩუქრებულ იქმნა ანდრია პირველ-წოდებულის ორდენით. ამ წელს ბაგრატიონს მთელს რუსეთში ისე განეთქვა სახელი, რომ მისი გმირობის ცნობის შესახებ უკელგან ლად პარაკობდენ, ამიტომაც მაშინ ამას უწოდეს რუსის ჯარის კაცთა „БОГЬЯ рати ОНЪ“, ე. ი. იგი დმერთი ჯარისა.

1812 წ. დაიწყო საფრანგეთის ნაპალეონის და რუსეთის ომი. ამ ომით კვლავ განახლდა ბაგრატიონის გმირული მოღვაწეობის ხანა. ამ ომში ბაგრატიონს ებარა ექვსი დივიზია, მტრისა კი თერთმეტი დივიზია ყოფილა ამ საოცარს ომში-აც ბაგრატიონმა გამოიჩინა ისეთი მხნეობა და გმირობა, რაც მაც საკმარისად შეარყია ნაპალეონის მხედრობა. ბეჭრს ალა-გას დამარცხა ამან იგინი. ამ ომში ბაგრატიონმა ისეთი ისტატობა გამოიჩინა, რამაც გააკვირვა დიდათ თვით კუტუზოვიც, რომელმაც კვლად აქო ბაგრატიონი. 1812 წ, 26 ივნისტოს იყო დიდი ბრძოლა მოსკოვის გუბერნიის, მოგაის მაზრაში. აქ მოხდა დიდი და ცხარე ბრძოლა, სადაც ბაგრატიონმა იბრძოლა განსაცვითებლის მამაცობით, მცირესნის შემდეგ იგინი ძლეულ იქმნება და იმავ დროს ბაგრატიონიც დაჭრილ იქმნა მარჯვენა ფეხში. ამას სიარული აღარ შეეძლო, ნაპოლეონმა მალე მოსკოვიც აიღო.

მოსკოვის აღების წინეთ, ექიმების რჩევით ბაგრატიონი განაშადეს სხვაგან გადასაყვანად და მალეც გაამგზავრეს, გზაში ამან გამოსცადა დიდი ტანჯვა და მწუხარება, ავად მყოფობა გაუძლიერდა, ავათმყოფობას ვეღარ გაუძლო, გარდა იცვალა 12 სექტემბერს 1812 წ. სოფ. სიმას, საღაც დაასაფლავეს კიდეც. უკანასკნელი საჩუქარი 50 ათასი მანათი ბარდოს ომის სამახსოვროდ მან ვეღარ მიიღო. ასე დასრულდა ამ ძლიერი მეომარი გმირის სიცოცხლის დღენი რუსეთის სამხედრო ასპარეზზედ. რუსის მწერალთა სიტყვით, პეტრე ივანესძე ყოფილა ისეთის კეთილის თვისების, რაისა გამო იგი ერთ ლუკმა პურსაც უყოფდა თავის. ხელქვეითებსაო. მას შემდეგ აგერ გავიდა ასი წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში ამ პირის სახელი არავის დავიწყებია, ნაცვლად დავიწყების პეტრეს დიდს პატივს სცემდა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი, ალექსანდრე მესამე და ბევრნიც სხვა ასეთ უმაღლეს პირნი. ამის გარდაცვალება მთელმა რუსეთის ერმა იგლოვა, მისი სახელის ანუსხვა იქმნა 1812 წ. რუსეთის ომის საუკეთესო გმირთა სახელების გვერდით, რომლის ხსენებას ეხლა ჩვენც მიუძლვენით ეს წიგნი.

მეტი არ იქნება შენიშვნად ითქვას შემდეგი: მსწავლლულ სამხედრო პირების თქმით, პეტრე რომ ისე აღრე არ მოეკლათ, მაშინ იგი ძრიელ შალე ისეთ მხნეობას და სამხედრო ნიჭის გამოიჩენდა, რითაც იგი ბევრად მაღლა დადგებოდა. თვით კუტუზოვსა და სუვოროვზედაცაო. ამის ნიშნები მას კარგად ემჩნეოდა და ყველა ბრძოლაში მათ სჯობნიდა კიდეც.

947-922
+ 551

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର